განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
29. 10. 19

დასკვნის წარდგენის თარიღი
16. 12. 19

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს მილენიუმი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204379083 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| განათლების საფეხური | |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | [1] |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რამაზ ქურდაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1] წარმატებული კურსდამთავრებულები მიიღებენ ქართული ენის B2 დონის სერთიფიკატს

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  - შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს, ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ასევე უცხოელ მოქალაქეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების #970 (17. 10. 2019) თანახმად, 2019 წლის 29 ოქტომბერს შპს ნიუ უნივერსითიში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: რამაზ ქურდაძე, ნინო პოპიაშვილი

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ნიუ უნივერსიტეტში, შედგა შეხვედრები დაწესებულების რექტორთან, რექტორის მოადგილესთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ფაკულტეტის დეკანთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკები და სხვ.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია  პროგრამის, მისი სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

  - მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა.
  - მნიშვნელოვანია, რომ შპს ნიუ უნივერსითიში არსებობს ინტერესი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიქმნას დიდაქტიზებული მასალები, ძირითადი და დამხმარე სასწავლო და პრაქტიკული ლიტერატურა, თუმცა მიზანშეწონილია, სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე, სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს ის გამოცდილება, რაც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემსწავლელთათვის, ასევე, ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელთათვის არსებობს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში როგორც ფუნდამენტური გამოკვლევების, ისე პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და მასალების თვალსაზრისით.
  - მიზანშეწონილია გამდიდრდეს დაწესებულების ბიბლიოთეკა ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულის, როგორც უცხო ენის შესწავლის მიმართულებით არსებული წიგნადი ფონდით.
  - მიზანშეწონილია, ის სასწავლო მასალა, რომელიც შემუშავდა შპს ნიუ უნივერსითიში, გამოცემამდე გაეგზავნოს შესაბამისი დარგისა და კვალიფიკაციის ექსპერტებს რეცენზირებისათვის და თუ აღნიშნული გამოცემების გამოყენება იგეგმება ძირითადი სასწავლო მასალის/სახელმზღვანელოს სტატუსით, გამოქვეყნდეს მხოლოდ რეცენზირებისა და არსებობის შემთხვევაში, შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში.
  - მნიშვნელოვანია გააქტიურდეს მუშაობა საქართველოს აზერბაიჯანულენოვან სკოლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, რესურს-ცენტრებთან,

აბიტურიენტებთან, ინტენსიური მუშაობის ჩატარება კონტინგენტის მოზიდბის მიზნით.

- მიზანშეწონილია, გააქტიურდეს მუშაობა სომხურენოვან სკოლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, რესურს-ცენტრებთან, აბიტურიენტებთან, ინტენსიური მუშაობის ჩატარება კონტინგენტის მოზიდვბის მიზნით.
- მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაცია ოს და აფხაზ მოსწავლეთათვისაც.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობდეს სხვადახვა სახის სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათ შორის, ქართულის, როგორც მეორე ენის დარგობრივი ტრენინგები, ბილინგვური სწავლების სპეციფიკების ათვისება და სხვა. ასევე, სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში, კონფერენციებში, სამეცნიერო ფორუმებში.
- საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო მასალების უმრავლესობაში იყენებს გამოუქვეყნებელ, პრაქტიკაში დაუნერგავ სასწავლო რესურსებს, „იდაქტიკურ მასალას“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დარგის კომპეტენტური ექსპერტების, გარე შემფასებლების რეკომენდაციები და რჩევები. შესაბამისად, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება.
-

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სასურველია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ქართული ენის სწავლების გამოცდილება, რაც მრავალი წელია დანერგილია საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.
  - სასურველია, პროგრამის განვითარებისა და ქარულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ინტეგრაციის მიზნით დაიგეგმოს სხვა აქტივობები, როგორიცაა სტუდენტური კლუბი, სტუდენტთა ტუტორიუმი და სხვა.

- სასურველია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მუშაობაში, რომელიც ხორციელდება სასწავლო დაწესებულების ბაზაზე, ჩართულნი იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. მათ შორის, შესაბამისი დარგის/დარგების დოქტორანტები და აკადემიური დოქტორები.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. სასურველია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობდს სხვადახვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან. პროგრამა ფუნქციონირებდა მხოლოდ 2018-19 სასწავლო წლის განმავლობაში. აღნიშნული პროგრამა ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. სულ პროგრამაზე ჩარიცხული იყო 122 სტუდენტი, მათ შორის, 121 აზერბაიჯანის მოქალაქე და 1 საქართველოს მოქალაქე. არსებული საკანონმდებლო რეგულაციების თანახმად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ საქართველოს მოქალაქემ სწავლა გააგრძელა ბაკალავრიატის საფეხურზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის არსებული მოთხოვნების შესაბამისად, ჯერ არ მომხდარა მათი ჩარიცხვა შესაბამის პროგრამებზე.
  - განმეორებითი აკრედიტაციისათვის პროგრამამ განიცადა ცვლილებები, გადამუშვდა პროგრამის სტრუქტურა, სილაბუსები, შეფასებისს სისტემა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება. კერძოდ, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგების საფუძველზე პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი გაივლის საერთო ევროპული ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით შედგენილ ენის ფლობის დონის დასადგენ ტესტს ქართულ ენაში და დადგენილი ენობრივი დონის მიხედვით მიიღებს დიფერენცირებულ სერვისს I სასწავლო სემესტრში. II სასწავლო სემესტრისთვის კი ეს ენობრივი განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირდება.
  - პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ითვალისწინებს საბაზო კურსებს, რომელიც ზოგადი ენის ათვისებას უზრუნველყოფს. ამ ჯგუფში შედის ქართული ენის ზოგადი კურსი (1 და 2) და პრაქტიკული გრამატიკის კურსი (1 და 2). სტუდენტთა ენის ფლობის დონის შესაბამისად ორივე კურსისთვის გათვალისწინებულია A და B

ბლოკები. ქართული ენის ზოგადი კურსისთვის A ბლოკის სილაბუსის მიხედვით ენის შესწავლა ნულოვანი დონიდან იწყება, კურსი ინტენსიურია და საათების მეტ რაოდენობას მოიცავს, ვიდრე B ბლოკისა. პარალელურ B ბლოკის კურსში შემოტანილია დამატებითი, შინაარსობრივი კომპონენტი - წიგნიერება. პრაქტიკული გრამატიკის A და B ბლოკის განმასხვავებელი ნიშანი არის საკონტაქტო საათების რაოდენობა, რაც ენის ფლობის შედარებით დაბალი დონის სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ადეკვატურ ტემპში აითვისონ მასალა. საბაზო საგნების ჯგუფისთვის გათვალისწინებულია ასევე დამატებითი სასწავლო მასალები, რაც, A ჯგუფის სტუდენტებს ეხმარება, სწრაფად გაიუმჯობესონ ენობრივი კომპეტენციები.

- პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი, თუ ის დააკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების და დააგროვებს 60 კრედიტს, მიიღებს სერტიფიკატს და უფლება ექნება, სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატის საფეხურზე.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემუშავებულია შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლებისა და ნიუ უნივერსითის მისიის შესაბამისად. პროგრამაში გათვალისწინებულია ენის სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები, ასევე - სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობებთან მიმართებაში. შესაბამისად, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ხელს უწყობს არაქართულენოვანი სტუდენტების თანაბარ ხელმისაწვდომობას უმაღლეს განათლებაზე, მათ ინტეგრაციას და მიზნად ისახავს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეები მოამზადოს ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე სასწავლებლად.<br>○ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო საერთაშორისო გამოცდილება. კერძოდ: „ბევრ უცხოურ უნივერსიტეტს აქვს მოსამზადებელი საფეხური სწავლის მსურველ არამშობლიურენოვანთათვის, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს სთავაზობენ სხვადასხვა მოდელს: ენის ინტენსიური სწავლება და შესავალი აკადემიურ დისციპლინებში სტუდენტის მიერ არჩეული მიმართულების მიხედვით; ენის ინტენსიური სწავლება და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარება (მაგ.: https://www.saxion.edu/programmes/preparatory-course/preparatory-year, https://lnu.se/en/course/preparatory-english-course-for-international-students/vaxjo-international-spring/, https://www.berlin-international.de/en/programs/english-preparatory-year/)“. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა-გაზიარება |

პროგრამისათვის დადებითი შედეგების მომტანია, თუმცა სასურველია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ქართული ენის სწავლების გამოცდილება, რაც მრავალი წელია დანერგილია საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამის მიზნები ორიენტირდა სამი ძირითადი კომპონენტის მიხედვით: 1. სტუდენტებს განუვითაროს ენობრივი კომპეტენციები, რომელიც უპასუხებს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნებს B 2 დონეზე; 2. გამოუმუშავოს სტუდენტებს ის აკადემიური უნარები , რომელიც აუცილებელია საბაკალავრო საფეხურზე სწავლისთვის; 3. განუვითაროს სტუდენტებს ინტერკულტურული კომპეტენცია, ჩამოუყალიბოს ურთიერთპატივისცემის განცდა სხვადასხვა ეთნიკური, თუ ენობრივი კუთვნილების წარმომადგენლებს შორის. აღნიშნული მიზნების მისაღწევად შეიცვალა დაწესებულებულებაში არსებული ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. განსაზღვრულია პროგრამის მიზნების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რაც ნათელყოფს, რომ პროგრამის თითოეული მიზანი მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგების ერთობლიობით.
- შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან. პროგრამა ფუნქციონირებდა მხოლოდ 2018-19 სასწავლო წლის განმავლობაში. აღნიშნული პროგრამა ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. სულ პროგრამაზე ჩარიცხული იყო 122 სტუდენტი, მათ შორის, 121 აზერბაიჯანის მოქალაქე და 1 საქართველოს მოქალაქე. არსებული საკანონმდებლო რეგულაციების თანახმად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ საქართველოს მოქალაქემ სწავლა გააგრძელა ბაკალავრიატის საფეხურზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის არსებული მოთხოვნების შესაბამისად, ჯერ არ მომხდარა მათი ჩარიცხვა შესაბამის პროგრამებზე.
- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია გააქტიურდეს მუშაობა საქართველოს აზერბაიჯანულენოვან სკოლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, რესურს-ცენტრებთან, აბიტურიენტებთან, ინტენსიური მუშაობის ჩატარება კონტინგენტის მოზიდბის მიზნით.
- მიზანშეწონილია, გააქტიურდეს მუშაობა სომხურენოვან სკოლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, რესურს-ცენტრებთან, აბიტურიენტებთან, ინტენსიური მუშაობის ჩატარება კონტინგენტის მოზიდვის მიზნით.

| |
|---|
| ○ მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაცია ოს და აფხაზ მოსწავლეებში.<br>○ სასურველია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ქართული ენის სწავლების გამოცდილება, რაც მრავალი წელია დანერგილია საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ შპს ნიუ უნივერსიტის მისია<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან |
| რეკომენდაციები:<br><br>○ მნიშვნელოვანია გააქტიურდეს მუშაობა საქართველოს აზერბაიჯანულენოვან სკოლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, რესურს-ცენტრებთან, აბიტურიენტებთან, ინტენსიური მუშაობის ჩატარება კონტინგენტის მოზიდბის მიზნით.<br>○ მიზანშეწონილია, გააქტიურდეს მუშაობა სომხურენოვან სკოლებთან, სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, რესურს-ცენტრებთან, აბიტურიენტებთან, ინტენსიური მუშაობის ჩატარება კონტინგენტის მოზიდბის მიზნით.<br>○ მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაცია ოსებში, აფხაზებში. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ სასურველია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყოს ქართული ენის სწავლების გამოცდილება, რაც მრავალი წელია დანერგილია საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- შპს ნიუ უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლი შედეგები რეალისტურად არის განსაზღვრული. პროგრამაში ჩართული პირები მონაწილეობდნენ პროგრამის შედგენასა და სრულყოფაში. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებად განსაზღვრულია: სტუდენტი ქართულ ენაზე ისმენს და კითხულობს ენის ფლობის B2 დონის შესაბამის ტექსტებს, შეუძლია სხვადასხვა პოზიციის ამოცნობა და ერთმანეთთან შედარება, სხვადასხვა წყაროს შედარება, სანდოობის შემოწმება; ქართულ ენაზე ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას ამყარებს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში. გამოთქვამს და ასაბუთებს მოსაზრებას, სისტემურად წარმოაჩენს არგუმენტებს; სტუდენტს შეუძლია აკადემიური დისციპლინების შესწავლა საბაკალავრო საფეხურზე; სტუდენტი ფლობს დამოუკიდებლად სწავლის უნარს. შეუძლია საკუთარი სასწალო პროცესის დაგეგმვა და მართვა, სწავლისთვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება; სტუდენტს აქვს ქართული კულტურის შესახებ ცოდნა, პატივს სცემს განსხვავებულ კულტურას და ამჟღავნებს მიმღებლობას სხვა კულტურების მიმართ.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების მექანიზმები, რომელიც მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს.
- პროგრამის სწავლის შედეგები მორგებულია ერთი მხრივ, საერთო ევროპული ჩარჩო-დოკუმენტის მიხედვით ენის ფლობის B2 დონის დესკრიპტორებს, მეორე მხრივ, ითვალისწინებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნებს.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ პროგრამაში მონაწილე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციასთან

| |
|---|
| ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის | X | | | |

| შესაბამისობა | | | | |
|---|---|---|---|---|

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>○ შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს, ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, *კანონი უმაღლესი განათლების შესახებ: მუხლი 47*[3]. *ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა:* „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლა აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60-კრედიტიანი და მისი სწავლება სავალდებულოა პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს.“<br><br>○ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ასევე უცხოელ მოქალაქეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br><br>○ შპს ნიუ უნივერსითის დებულება https://bit.ly/2FL5ryA<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| --- |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა<br>○ შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან. პროგრამა ფუნქციონირებდა მხოლოდ 2018-19 სასწავლო წლის განმავლობაში.<br>○ განმეორებითი აკრედიტაციისათვის პროგრამამ განიცადა ცვლილებები, გადამუშვდა პროგრამის სტრუქტურა, სილაბუსები, შეფასებისს სისტემა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება. კერძოდ, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგების საფუძველზე პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი გაივლის საერთო ევროპული ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით შედგენილ ენის ფლობის დონის დასადგენ ტესტს ქართულ ენაში და დადგენილი ენობრივი დონის მიხედვით მიიღებს დიფერენცირებულ სერვისს I სასწავლო სემესტრში. II სასწავლო სემესტრისთვის კი ეს ენობრივი განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირდება.<br>○ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ითვალისწინებს საბაზო კურსებს, რომელიც ზოგადი ენის ათვისებას უზრუნველყოფს. ამ ჯგუფში შედის ქართული ენის ზოგადი კურსი (1 და 2) და პრაქტიკული გრამატიკის კურსი (1 და 2). სტუდენტთა ენის ფლობის დონის შესაბამისად ორივე კურსისთვის გათვალისწინებულია A და B ბლოკები. ქართული ენის ზოგადი კურსისთვის A ბლოკის სილაბუსის მიხედვით ენის შესწავლა ნულოვანი დონიდან იწყება, კურსი ინტენსიურია და საათების მეტ რაოდენობას მოიცავს, ვიდრე B ბლოკისა. პარალელურ B ბლოკის კურსში შემოტანილია დამატებითი, შინაარსობრივი კომპონენტი - წიგნიერება. პრაქტიკული გრამატიკის A და B ბლოკის განმასხვავებელი ნიშანი არის საკონტაქტო საათების რაოდენობა, რაც ენის ფლობის შედარებით დაბალი დონის სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ადეკვატურ ტემპში აითვისონ მასალა. საბაზო საგნების ჯგუფისთვის გათვალისწინებულია ასევე დამატებითი სასწავლო მასალები, რაც, A ჯგუფის სტუდენტებს ეხმარება, სწრაფად გაიუმჯობესონ ენობრივი კომპეტენციები.<br>○ პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი, თუ ის დააკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების და დააგროვებს 60 კრედიტს, მიიღებს სერტიფიკატს და უფლება ექნება, სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატის საფეხურზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის

| |
|---|
| შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 10 სავალდებულო საგნისაგან. მათ შორის:<br>○ ქართული ენის ზოგადი კურსი 1 – A;<br>○ ქართული ენის ზოგადი კურსი 1 – B;<br>○ ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 – A;<br>○ ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 – B;<br>○ აუდიო-ვიზუალური და ონლაინ ინფორმაციები 1;<br>○ ენა სიტუაციურ გარემოში 1;<br>○ წერილობითი კომუნიკაცია;<br>○ ქართული ენის ზოგადი კურსი 2;<br>○ ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2;<br>○ აუდიო-ვიზუალური და ონლაინ ინფორმაციები 2;<br>○ წერილობითი და ზეპირი აკადემიური კომუნიკაციის საფუძვლები;<br>○ დარგობრივი ენის კურსი.<br>○ ენის ფლობის დონის დასადგენი წინასწარი ტესტირების საფუძველზე სტუდენტები გაივლიან A ან B ბლოკის შესაბამის შემდეგ კურსებს: „ქართული ენის ზოგადი კურსი 1“ და „ქართული ენის პრაქტიკული კურსი 1“.<br>○ სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და მეთოდურად არის შედგენილი. პროგრამაში წარმოდგენილია სულ 12 სილაბუსი. მათ შორის 10 სილაბუსში არ არის დასახელებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, ხოლო 2 სილაბუსში დასახელებულია მხოლოდ ძირითადი ლიტერატურა. სილაბუსების გაცნობისა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამა ეყრდნობა შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის მიერ შედგენილ სასწავლო მასალას, დიდაქტიზებულ მასალას. აღნიშნული სასწავლო მასალა ამჟამად არის აპრობაციისა და შემუშავების პროცესში. მომავალში კი, თუ მასალამ წარმატებით იმუშავა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, დაგეგმილია მასალების გამოცემა.<br>○ ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს ძირითდი და დამხმარე ლიტერატურა.<br>○ მნიშვნელოვანია, რომ შპს ნიუ უნივერსითიში არსებობს ინტერესი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიქმნას დიდაქტიზებული მასალები, ძირითადი და დამხმარე სასწავლო და პრაქტიკული ლიტერატურა, თუმცა მიზანშეწონილია, სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე, სილაბუსებში |

| |
|---|
| გათვალისწინებული იყოს ის გამოცდილება, რაც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემსწავლელთათვის, ასევე, ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელთათვის არსებობს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში როგორც ფუნდამენტური გამოკვლევების, ისე პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და მასალების თვალსაზრისით.<br>○ მიზანშეწონილია გამდიდრდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულის, როგორც უცხო ენის შესწავლის მიმართულებით არსებული წიგნადი ფონდით.<br>○ მიზანშეწონილია, ის სასწავლო მასალა, რომელიც შემუშავდა შპს ნიუ უნივერსითიში, გამოცემამდე გაეგზავნოს შესაბამისი დარგისა და კვალიფიკაციის ექსპერტებს რეცენზირებისათვის და თუ აღნიშნული გამოცემების გამოყენება იგეგმება ძირითადი სასწავლო მასალის/სახელმზღვანელოს სტატუსით, გამოქვეყნდეს მხოლოდ რეცენზირებისა და არსებობის შემთხვევაში, შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>○ მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს ძირითდი და დამხმარე ლიტერატურა.<br>○ მნიშვნელოვანია, რომ შპს ნიუ უნივერსითიში არსებობს ინტერესი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიქმნას დიდაქტიზებული მასალები, ძირითადი და დამხმარე სასწავლო და პრაქტიკული ლიტერატურა, თუმცა მიზანშეწონილია, სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე, სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს ის გამოცდილება, რაც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემსწავლელთათვის, ასევე, ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელთათვის არსებობს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში როგორც ფუნდამენტური გამოკვლევების, ისე პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და მასალების თვალსაზრისით.<br>○ მიზანშეწონილია გამდიდრდეს დაწესებულების ბიბლიოთეკა ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულის, როგორც უცხო ენის შესწავლის მიმართულებით |

| |
|---|
| არსებული წიგნადი ფონდით.<br>○ მიზანშეწონილია, ის სასწავლო მასალა, რომელიც შემუშავდა შპს ნიუ უნივერსითიში, გამოცემამდე გაეგზავნოს შესაბამისი დარგისა და კვალიფიკაციის ექსპერტებს რეცენზირებისათვის და თუ აღნიშნული გამოცემების გამოყენება იგეგმება ძირითადი სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს სტატუსით, გამოქვეყნდეს მხოლოდ რეცენზირებისა და არსებობის შემთხვევაში, შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| ○ შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკულ დავალებას, რომელთა მიზანია სტუდენტმა შეძლოს ქართული ენის პრაქტიკაში გამოყენება.<br>○ პროგრამაში გათვალისწინებულია გარკვეული დავალებების შესრულებას, რაც დაეხმარე ქართული ენის ათვისებაში. სასწავლო კურსის სილაბუსები უზრუნველყოფს ქართული ენის იმგვარად დაუფლებას, რომ სტუდენტმა შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე; სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადსხვა ტიპის (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი) ტექსების ადეკვატურად გაგება და შექმნა.<br>○ ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაში ნაწილობრივ გათვალისწინებულია იმ აკადემიური უნარების გამომუშავებას, რომელიც საჭიროა ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლისათვის. სტუდენტების პრაქტიკული, ტრანსფერული და სხვა უნარების განვითარების მიზნით, სასურველია, გააქტიურდეს მუშაობა სტუდენტთა ინტეგრაციის მიმართულებით,<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები კოლეჯის ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br>○ |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

- 

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მოითხოვს მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას. პროგრამა ეყრდნობა მეორე და უცხო ენის სწავლა-სწავლების მეთოდებს, როგორებიცაა: მიზნობრივი კულტურის აღქმა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ინტერკულტურული სწავლება; ჯგუფში მუშაობა,

| |
|---|
| დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია;დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული, პრაქტიკული აქტივობა და სხვა.<br>○ სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები არის მოქნილი. გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ინდივიდუალური საჭიროებები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- შპს ნიუ უნივერსიტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მიმდინარე, შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). მიმდინარე შეფასება მოიცავს როგორც პრაქტიკული მეცადინეობისას მიღებულ შეფასებას, ისე თემის შესწავლისას მიმდინარე, ან თემის ბოლოს შემაჯამებელი საშინაო დავალებების კომპონენტს. მიმდინარე შეფასება ხორციელდება როგორც წერითი დავალებების შემოწმებით, ისე ზეპირ/ინტერაქციულ ნაწილში (ქვიზი, ღია ტიპი წერითი დავალება, ესე, პრეზენტაცია, დისკუსიაში ჩართულობა, ვიდეორგოლის მომზადება, ფილმის ეპიზოდის გახმოვანება, პრაქტიკული ზეპირი/საინტერაქციო დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა,

| |
|---|
| სიმულაციური დავალებების შესრულება და სხვ.) შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით და შეფასების რუბრიკებით. შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ტესტი,ზეპირი/წერითი კომბინირებული გამოცდა, პროეტის განხორციელება, ესე, პრეზენტაცია, რეფერატის დაცვა, ბლოგის გაკეთება) შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.<br>○ შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.<br>○ სტუდენტების შეფასების აღნიშნული მექანიზმი შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|

| |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ შპს ნიუ უნივერსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შესაბამისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისაგან რეგულარულად იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სათანადო კონსულტაციას და სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას და მხარდაჭერას. ამ მიმართულებით დაწესებულებაში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო ტიპის შეხვედრები სამიზნე ჯგუფებთან.<br>○ შპს ნიუ უნივერსითიში ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ სხვა პროგრამის მოქმედ სტუდენტებს, ასევე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ერთ კურსდამთავრებულს პირადად და ერთს (უცხო ქვეყნის მოქალაქეს) აუდიოჩართვის დახმარებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასურველია, პროგრამის განვითარებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ინტეგრაციის მიზნით დაიგეგმოს სხვა აქტივობები, როგორიცაა სტუდენტური კლუბი, სტუდენტთა ტუტორიუმი და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები კოლეჯის ადმინისტრაციასთან |

| |
|---|
| ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან<br>○ ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან<br>○ ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>○ სასურველია, პროგრამის განვითარებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ინტეგრაციის მიზნით დაიგეგმოს სხვა აქტივობები, როგორიცაა სტუდენტური კლუბი, სტუდენტთა ტუტორიუმი და სხვა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| ○ <br> ○ არ ფასდება |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** <br><br> ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:** <br><br> წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** <br><br> არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** <br><br> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** <br><br> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) <br> ○ |
| **შეფასება** <br><br> o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <br><br> ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <br><br> ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <br><br> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <br><br> ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- შპს ნიუ უნივერსითიში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამას ახორციელებს 9 მოწვეული პედაგოგი. ექსპერტთა ვიზიტის დროს გაირკვა, რომ პროგრამის აკრედიტაციის დროს ჩატარდა აკადემიური პერსონალის არჩევნები და 4 პედაგოგი არჩეულია აკადემიურ პერსონალად. 2 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი. პროგრაამის

განხორციელებაში ჩართულნი არიან მაგისტრატურის კურსდამთავრებულებიც. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს ნიუ უნივერსითის ადმინისტრაციამ გააკეთა განმარტება, რომ მათ აქვთ შიდა რეგულაცია, რის იხედვითაც მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს აქვთ უფლება წაიკითხონ ლექციები შპს ნიუ უნივერსითიში, მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. ექსპერტებმა გამოთქვეს სურვილი გასცნობოდნენ შპს ნიუ უნივერსითის პროფესორთა არჩევის წესსა და შიდა რეგულაციას აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევისა და მოწვევის შესახებ. შპს ნიუ უნივერსითის აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევის/დანიშვნის წესის მიხედვით, მუხლი 4. 5. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იქნეს პირი, რომელსაც არ აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, მაგრამ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მისი კვალიფიკაცია შეიძლება დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

- ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მუშაობაში, რომელიც ხორციელდება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაში, ჩართულნი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. მათ შორის, შესაბამისი დარგის/დარგების დოქტორანტები და აკადემიური დოქტორები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუს შედეგები კოლეჯის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან
- ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მუშაობაში, რომელიც ხორციელდება უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ბაზაზე, ჩართულნი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. მათ შორის, შესაბამისი დარგის/დარგების დოქტორანტები და აკადემიური დოქტორები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- შპს ნიუ უნივერსსითის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. კოლეჯის ადმინისტრაცია ატარებს გამოკითხვებს, აფასებს სასწავლო პროცესს. აგრეთვე, აღნიშნულია, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს სასწავლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და საკონსულტაციო საათებს. ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის წახალისების მიზნით კოლეჯში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის განსაზღვრის ქულობრივი სისტემა და სხვა, მიუხედავად ამისა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობდეს სხვადასხვა სახის სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათ შორის, ქართულის, როგორც მეორე ენის დარგობრივი ტრენინგები, ბილინგვური სწავლების სპეციფიკების ათვისება და სხვა. ასევე, სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში, კონფერენციებში, სამეცნიერო ფორუმებში.
- 

| |
|---|
| ○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები კოლეჯის ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან<br>○ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. მიზანშეწონილია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობდეს სხვადახვა სახის სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათ შორის, ქართულის, როგორც მეორე ენის დარგობრივი ტრენინგები, ბილინგვური სწავლების სპეციფიკების ათვისება და სხვა. ასევე, სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში, კონფერენციებში, სამეცნიერო ფორუმებში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ შპს ნიუ უნივერსითი საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისათვის საკუთარებაში ფლობს ფართს სამსართულიან სასწავლო კორპუს, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს და დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.<br><br>○ კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის შიდა სივრცეები: ფოიე, სარეკრეაციო ზონა, თეორიული სწავლების აუდიტორიები, პრაქტიკული სწავლების უდიტორიები, ადმინისტრაციისათვის და აკადემიური პერსონალისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, არქივი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას.<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია განახლდეს კოლეჯის ბიბლიოთეკა |

| |
|---|
| აღნიშნული პროგრამისათვის შესაბამისი წიგნადი ფონდით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები კოლეჯის ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან<br>○ ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან<br>○ ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>• ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია განახლდეს კოლეჯის ბიბლიოთეკა აღნიშნული პროგრამისათვის შესაბამისი წიგნადი ფონდით. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა |

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ შპს ნიუ უნივერსითის ბიუჯეტის სტრუქტურა დაფუძნებულია ისეთი ტიპის ხარჯვით მუხლებზე, რომელიც მიმართულია სტუდენტების ცოდნის ამაღლების, გამოცდილების შეძენის, შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების ხელშეწყობისაკენ. ნიუ უნივერსითის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური უზრუნველყოფა იმ პროცესების, რომლებიც ემსახურება დაწესებულების კვლევითი პოტენციალის ამაღლებას, დაინტერესებული აუდიტორიისათვის საუნივერსიტეტო მიღწევების გაცნობას.<br>○ ქართულ ენაში მომზდების საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება კოლეჯის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული თანხებით.<br>○ პროგრამისთვის გამოყოფილ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: პროგრამის მომსახურე საშტატო განრიგით გათვალისწინებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; შტატგარეშე მომუშავე პერსონალის ანაზღაურება და სხვა ტიპის ხარჯები. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები კოლეჯის ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან<br>○ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ შპს ნიუ უნივერსიტიში შიდა ხარისხის შეფასების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შიდა ხარისხის შფასება ხორციელდება PDCA ციკლის შესაბამისად: დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე ფაზების გამოყენებით.<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანთლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის აკრედიტაციის ვადით შეიქმნა ქართული ენის პროგრამის განვითარების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან, როგროც პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ჯგუფის ერთობლივი მუშაობის სდეგად კი სააკრედიტაციოდ მომზადდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.<br>○ |

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები კოლეჯის ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან<br>○ ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან<br>○ ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| |

| 5.2 გარე ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ შპს ნიუ უნივერსითიში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.<br>○ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშულია, რომ პროგრამა გარე შეფასების მიზნით იგი გაეგზავნა „. . . დარგის სპეციალისტებს. მათი მოსაზრებები, შეფასებები და რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში“. გარე ექსპერტების შეფასებები და რეკომენდაციები წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის დართული.<br>○ ექსპერტების აზრით, პროგრამის გარე შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო მასალების უმრავლესობაში იყენებს გამოუქვეყნებელ, პრაქტიკაში დაუნერგავ სასწავლო რესურსებს, „დიდაქტიკურ მასალას“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დარგის კომპეტენტური ექსპერტების, გარე შემფასებლების რეკომენდაციები და რჩევები. შესაბამისად, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |

○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები

○ თვითშეფასების ანგარიში

○ ინტერვიუს შედეგები კოლეჯის ადმინისტრაციასთან

○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან

○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან
○ ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან
○ ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო მასალების უმრავლესობაში იყენებს გამოუქვეყნებელ, პრაქტიკაში დაუნერგავ სასწავლო რესურსებს, „იდაქტიკურ მასალას“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დარგის კომპეტენტური ექსპერტების, გარე შემფასებლების რეკომენდაციები და რჩევები. შესაბამისად, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- შპს ნიუ უნივერსითიში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თუმცა დაწესებულების შემდგომი ინსტიტუციური განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის შეფასების შედეგების რეალურ გამოყენებას სწავლისა და სწავლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სერვისების შემდგომი განვითარებისთვის. კოლეჯის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის, დაწესებულების მართვის პროცესში უზრუნველყოფილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგების ანალიზის და ინსტიტუციის შეფასების შედეგების გათვალისწინება.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, გამოკითხვებისა და კვლევების საფუძველზე. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაცია, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვ.
- 

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციასთან

| |
|---|
| ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან<br>○ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შესაძლებლობები | | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
რამაზ ქურდაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ნინო პოპიაშვილი